პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

9 სექტემბერი, სამშაბათი, 1986 წ.
№ 175 (9336) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი გიორგი ჩოჩიშვილი მოსკოვიდან ტელეფონით გვატყობინებს:

## „ხმლით მოპოვებული ვერცხლი"

როგორც ვიუწყებოდით, რაპირისტთა ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ესტაფეტა ხმლით მოფარიკავეებმა მიიღეს. უნდა ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები აქ გაცილებით უკეთეს შედეგს ელოდნენ. ასეც მოხდა — საქართველოს გუნდი, მას შემდეგ, რაც საკმაოდ დამაჯერებლად გაიკვლია გზა ფინალისაკენ (მოსკოვის გუნდს მოუგო 9:5, უკრაინისას — 9:4), საბოლოოდ ოქროს მედლისათვის ბრძოლაში ლენინგრადის ძლიერი კოლექტივის პირდაპირ დადგა. ჩვენი გუნდის თითოეული წევრი ფინალშიც უდიდესი მონდომებით იბრძოდა — ბრწყინაურდა კიდეც, მაგრამ ლენინგრადელებმა ბოლო შეხვედრებში შეძლეს წონასწორობის აღდგენა. ეს დრამატული ორთაბრძოლა თანაბარი ანგარიშით — 8:8 დამთავრდა. სპარტაკიადის ჩემპიონის ბედი კი მათმა საუკეთესო ჩხვლეტამ გადაწყვიტა — 9:8. გამარჯვება ლენინგრადელებს დარჩათ.

ამ ასე, ხმალში საქართველოს წარმომადგენლებმა პირად პირველობაში ერთი V და ერთი X ადგილი დაიკავეს, გუნდურ შეჯიბრებაში კი II ადგილი ხვდათ. სულ ჩვენმა ხმლით მოფარიკავეებმა 84 ქულა დაიმსახურეს, პროგნოზით კი 70 ქულის მოგროვება იყო ნავარაუდევი. გუნდის უფროსი მწვრთნელია გურამ ლორთქიფანიძე. საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით ასპარეზობდა: მერაბ ბაზაძე, ირაკლი გვაზავა, დავით თურქია, აკაკი მახარაძე, ზაზა მჭედლიძე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხმლით მოფარიკავეებმა თვალსაჩინო წარმატებას საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის შემდეგ პირველად მიაღწიეს.

### ექსპრეს-ინფორმაცია

ბალახის ჰოკეი. ვაჟები: საქართველო — ყაზახეთი 0:6. ქალები: საქართველო — ლიტვა 0:1.

ძალოსნობა. 56 კგ. გ. ჯაფარიძე (თბილისი) — IX ადგილი — 8 ქულა. 60 კგ. ს. სარქისიანი (თბილისი) — XI ადგილი — 6 ქულა.

## სასპარტაკიადო სექტემბერი

სექტემბერში ჩვენი ქვეყნის ექვს ქალაქში სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ჩატარდება. მოსკოვი 17 სასპარტაკიადო დისციპლინას უმასპინძლებს, მინსკი, კიევი, ლენინგრადი და ტალინი—ორ-ორს, ტაშკენტში კი მძლეოსანთა შეჯიბრება ჩატარდება.

გთავაზობთ გთავაზობთ სასპარტაკიადო სტარტების სექტემბრის განრიგს:

13 სექტემბერი. ბადმინტონი. მინსკი.
18 სექტემბერი. რიკაობა. მოსკოვი.
18 სექტემბერი. ძალოსნობა. მოსკოვი.
12 სექტემბერი. ფარიკაობა. მოსკოვი.
12 სექტემბერი. ბალახის ჰოკეი (ვაჟები). მოსკოვი.
18 სექტემბერი. ბალახის ჰოკეი (ქალები). მოსკოვი.
14 სექტემბერი. ცურვა. მოსკოვი.
-14 სექტემბერი. ცხენოსნობა. მოსკოვი.
-21 სექტემბერი. წყალბურთი. მოსკოვი.
-14 სექტემბერი. წყალსათხილამურო სპორტი. კიევი.
-20 სექტემბერი. მაგიდის ჩოგბურთი. ლენინგრადი.
-20 სექტემბერი. მძლეოსნობა. ტაშკენტი.
-20 სექტემბერი. წყალში ხტომა. მოსკოვი.
-21 სექტემბერი. აკრობატიკა. მინსკი.
-21 სექტემბერი. აკადემიური ნიჩბოსნობა. მოსკოვი.
-26 სექტემბერი. კრივი. მოსკოვი.
-21 სექტემბერი. საგზატკეცილო ველოსპორტი. კიევი.
-22 სექტემბერი. მშვილდოსნობა. ტალინი.
-28 სექტემბერი. სასტენდო სროლა. მოსკოვი.
-30 სექტემბერი. თანამედროვე ხუთჭიდი. ტალინი.
-25 სექტემბერი. სატრეკო ველოსპორტი. მოსკოვი.
-27 სექტემბერი. ტანვარჯიში. მოსკოვი.
-26 სექტემბერი. ტყვიის სროლა. მოსკოვი.
-30 სექტემბერი. ფრენბურთი. ლენინგრადი.
-28 სექტემბერი. საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე. მოსკოვი.
-28 სექტემბერი. სინქრონული ცურვა. მოსკოვი.

იხ. მე-2 გვ.

### ნინო სალუქვაძე — მსოფლიო რეკორდსმენი გუნდურ შეჯიბრებაში და პირადი პირველობის მესამე პრიზიორი



## ახალი ფურცელი ბიოგრაფიაში

ჯერ თავისთავად დიდი წარმატება გახლდათ ის, რომ თბილისელი ნინო სალუქვაძე საბჭოთა კავშირის მსროლელთა ნაკრებ გუნდში მოხვდა და მსოფლიო ჩემპიონატში საასპარეზოდ გდრ-ის ქალაქ ზულში გაემგზავრა. ნაკრებში, როგორც წესი, მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულნი ხვდებიან, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში ჩვენს ქვეყანას დღესდღეობით სამი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს — მარინა დობრანჩევა, ირინა კოჩეროვა და ნინო სალუქვაძე.

გუშინწინდლამდე მართლაც ასე იყო, გუშინწინ კი ამ სამეულმა მსოფლიო ჩემპიონატის სამივე მედალი ერთმანეთში გაინაწილა და უძლიერეს მსროლელთა სახელი დაიმკვიდრა.

ნინო სალუქვაძესა და როსტოველ მარინა დობრანჩევას ინტერესები წლეულს გადაიხლართა ერთმანეთში. მაგრამ როსტოველი მსროლელის სახით ნინოს საკმაოდ ტიტულოვანი მეტოქე დახვდა. დობრანჩევა მსოფლიოს თრგზის ჩემპიონია, სპორტის დამსახურებული ოსტატი და ჯერჯერობით ჩვენს მსროლელთა შორის პირველობას დამაჯერებლად ინარჩუნებს. თუმცა.. ამ ცოტა ხნის წინ მიტიშჩის ოლიმპიურ სასროლეთზე გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში ნინომ დასწრებულ ბრძოლაში დაამარცხა თავისი მრისხანე მეტოქე და გაზეთ „სოვეტსკი პატრიოტის" მთავარი პრიზი დაიმსახურა.

მაგრამ ეს გახლდათ ურთიერთობის გარკვევა, ასე ვთქვათ, შინაურ ფრონტზე. მსოფლიო ჩემპიონატმა კი ამ სამი მსროლელის ინტერესები გააერთიანა, ვინაიდან პირველ რიგში მთავარი გუნდის საერთო ინტერესების დაცვა იყო.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში მსოფლიო ჩემპიონის სახელი, ამჯერად, უკვე მესამედ, მარინა დობრანჩევამ დაისაკუთრა (689 ქულა). ასეთივე შედეგი აღმოაჩნდა კოჩეროვას, რომელსაც საბოლოო ჯამში ვერცხლის მედალი ერგო.

ნინო სალუქვაძე თავის მეტოქეებზე 8 წლით უმცროსია. 18 წლის ასაკში 8-წლიანი განსხვავება გამოცდილ სპორტსმენებს გარკვეულ უპირატესობას აძლევს. აი სწორედ ეს იყო იმის მიზეზი (და კიდევ ის, რომ ასეთ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში ნინო პირველად გამოდიოდა), რომ ახალგაზრდა მსროლელი თანაგუნდელებს 3 ქულით ჩამორჩა, მაგრამ ამ სამქულიანმა სხვაობამ ნინოს მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მაინც მოუტანა (სხვათა შორის, მსგავსი წარმატებისთვის ჩვენი რესპუბლიკის მსროლელ ქალებს აქამდე არ მიუღწევიათ).

ნინოს რომ მებრძოლი ხასიათი აქვს ეს იქიდანაც სჩანს, რომ თავის უფროს მეგობრებს არც გუნდურ ასპარეზობაში ჩამორჩა და მათთან ერთად მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა — 1767 ქულა.

მაშ ასე, ნინო სალუქვაძის ბიოგრაფიაში ახალი ფურცელი ჩაიწერა: მისი სპორტული წარმატებების ჩამოთვლა ამიერიდან მსოფლიო რეკორდითა და ზულში მოპოვებული ბრინჯაოს მედლით დაიწყება.

მსოფლიოს 44-ე ჩემპიონატში საბჭოთა სნაიპერებმა სხვა წარმატებებსაც მიაღწიეს. დღევანდელისათვის მათ ექვსი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს ჯილდო აქვთ მიღებული, შეჯიბრება კი გრძელდება.

## ლეილა მესხი აშშ-ის ვიცეჩემპიონი

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობის იუნიორთა შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზა 18 წლის თბილისელმა ჩოგბურთელმა, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტმა ლეილა მესხმა. წყვილთა თანრიგში, სადაც 15 წლის კიეველ მოსწავლესთან ელენა ბრიუხოვეცთან ერთად გამოდიოდა, მესხმა მეორე ადგილი დაიკავა. ნახევარფინალში მესხისა და ბრიუხოვეცის წყვილმა დაამარცხა მასპინძელთა გუნდის წარმომადგენლები — კეტრინ ადამსი და სტეფანი ლონდონი — 6:2, 6:1. ფინალში საბჭოთა სპორტსმენები ჩეხოსლოვაკიელებს რადკა ზრუბაკოვასა და იანა ნოვოტნას შეხვდნენ (სხვათა შორის, ზრუბაკოვა ევროპის ჩემპიონია 18 წლამდე ასაკის ჩოგბურთელთა შორის). გადამწყვეტი შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა გამარჯვებით დამთავრდა — 6:4, 6:2.



### მაია ჩიბურდანიძისა და ელენა ახმილოვსკაიას მატჩი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის




## მესამე პარტია

ამ პარტიაში კვლავ კატალონიური დასაწყისი გათამაშდა, მაგრამ პირველი პარტიისგან განსხვავებით, ამჯერად პრეტენდენტი უფრო მშვიდად, აუღელვებლად თამაშობდა. იგი არ ჩქარობდა იერიშზე გადასვლას. როცა ჩემპიონი შეეცადა ხელთ ეგდო ინიციატივა, ახმილოვსკაია ზუსტად და თანმიმდევრულად იცავდა თავს. მძიმე ფიგურების გაცვლის შემდეგ მდგომარეობა გამარტივდა და 29-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

**ჩიბურდანიძე — ახმილოვსკაია**

**კატალონიური დასაწყისი**

1. d4 მf6 2. c4 e6 3. g3 კb4+ 4. კd2 კe7 5. კg2 d5 6. მf3 0—0 7. 0—0 c6 8. ლc2 b6 9. მe5 კb7 10. cd cd 11. ეc1 კd6 12. კg5 h6 13. კ:f6 ლ:f6 14. f4 ლe7 15. მc3 მd7 16. მb5 ეac8 17. ლa4 კ:e5 18. fe კc6 19. ლa3 ლ:a3 20. მ:a3 f6 21. ef მ:f6 22. ეc3 კd7 23. ეa c1 ე:c3 24. ე:c3 ეc8 25. ე:c8+ კ:c8 26. მb5 a6 27. მc3 კd7 28. კf3 მფf7 29. მფf2. ყაიმი.

ამრიგად, 3 პარტიის შემდეგ ანგარიშია 2:1 მაია ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. მეოთხე პარტია რეგლამენტით დღეს უნდა გათამაშდეს. (ბულგარეთიდან მიღებულ წერილს გთავაზობთ მე-4 გვერდზე).

### პირველი ტაიმ-აუტი

ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტ ვაჟთა ფინალური მატჩის მეოთხე პარტია არ შედგა. პირველი ტაიმ-აუტი აიღო ანდრეი სოკოლოვმა. შეგახსენებთ, ამ მატჩში 2 ქულის სხვაობით დაწინაურდა არტურ იუსუპოვი — 2,5:0,5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# ადგილები და მედლები

**მოდით,** თვალი გადავავლოთ ცხრილს და ვნახოთ, რა მდგომარეობაა კოლექტივებს შორის, როგორც საერთო გუნდურ ჩათვლაში (არაოფიციალური), ისე მედლების განაწილებაში. ცხრილში შესულია დღემდე დამთავრებული შეჯიბრებების შედეგები. კალათბურთი (ქალები და ვაჟები), თავისუფალი ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა, სამბო, ძიუდო, მრავალდღიანი ველორბოლა (ქალები და ვაჟები), მხატვრული ტანვარჯიში, ცხენოსნობა (სამჭიდი, დაბრკოლებათა გადალახვა), აფროსნობა, ბატუტზე ხტომა, ხელბურთი (ქალები და ვაჟები), ჩოგბურთი, ფეხბურთი, ჭადრაკი (ქალები და ვაჟები).

**საერთო გუნდური ჩათვლა (არაოფიციალური)**

| ადგილი | კოლექტივი | ქულა |
|---|---|---|
| 1. | რსფსრ | 3360,5 |
| 2. | უკრაინა | 3198,0 |
| 3. | ბელორუსია | 2441,5 |
| 4. | მოსკოვი | 2417,5 |
| 5. | საქართველო | 1477,5 |
| 6. | ლენინგრადი | 1310,0 |
| 7. | უზბეკეთი | 1271,0 |
| 8. | ყაზახეთი | 1236,0 |
| 9. | ლიტვა | 1142,0 |
| 10. | სომხეთი | 873,0 |
| 11. | ლატვია | 840,5 |
| 12. | მოლდავეთი | 793,0 |
| 13. | ესტონეთი | 759,0 |
| 14. | აზერბაიჯანი | 741,5 |
| 15. | ყირგიზეთი | 222,5 |
| 16. | ტაჯიკეთი | 159,0 |
| 17. | თურქმენეთი | 134,0 |

**მედლები**

| ადგილი | კოლექტივი | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | რსფსრ | 30 | 12 | 12 | 54 |
| 2. | უკრაინა | 17 | 18 | 12 | 47 |
| 3. | ბელორუსია | 10 | 11 | 17 | 38 |
| 4. | მოსკოვი | 7 | 13 | 13 | 33 |
| 5. | საქართველო | 9 | 2 | 5 | 16 |
| 6. | ყაზახეთი | 2 | 5 | 6 | 13 |
| 7. | აზერბაიჯანი | 2 | 4 | 5 | 11 |
| 8. | უზბეკეთი | 3 | 5 | 3 | 11 |
| 9. | ლიტვა | 4 | 2 | 4 | 10 |
| 10. | ლენინგრადი | 2 | 1 | 8 | 11 |
| 11. | სომხეთი | 1 | 3 | 5 | 9 |
| 12. | ესტონეთი | — | 5 | 3 | 8 |
| 13. | ლატვია | 1 | 1 | 3 | 5 |
| 14. | მოლდავეთი | 1 | — | 3 | 4 |
| 15. | ტაჯიკეთი | — | 1 | — | 1 |
| 16. | თურქმენეთი | — | — | 1 | 1 |
| 17. | ყირგიზეთი | — | — | 1 | 1 |

**შენიშვნა:** ცხრილებში მოცემულ შედეგებს ახალი ქულები მხოლოდ 12 სექტემბერს დაემატება, მას შემდეგ, რაც შეჯიბრებები დამთავრდება ფარიკაობასა და ბალახის ჰოკეიში.

## ელვა-ინფორმაცია

**ჭადრაკი.** გუშინ საღამოს გ. კასპაროვი და ა. კარპოვი მატჩ-რევანშის XIV პარტიის სათამაშოდ მიუსხდნენ დაფებს. მეტოქეებმა პირველად ამ მატჩში ესპანური პარტია გაითამაშეს, რომელიც შავი ფიგურებით მოთამაშე მსოფლიოს ექსჩემპიონმა აირჩია. შავების მე-12 სვლამდე მეტოქენი მათი წინა მატჩის V პარტიას იმეორებდნენ. შემდეგ კარპოვმა თეორიაში ცნობილ სხვა გაგრძელებას მიჰყო ხელი, მაგრამ მე-18 სვლაზე ახლა უკვე კასპაროვმა გადაუხვია „გატკეპნილ" გზას და ბრძოლაც გამწვავდა.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობის წინ

# ადრე მეთოთხმეტე, ახლა?

12 სექტემბერს ლენინგრადში სტარტს აიღებს საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. სპორტულ-საკონცერტო კომპლექსის უზარმაზარ დარბაზში, სადაც გაზაფხულისა და შემოდგომის ჭირვეულ ამინდში ადგილობრივი „ზენიტი" საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებს ატარებს, საასპარეზოდ გამოვლენ 13 მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები (ლატვიისა და ყირგიზეთის კოლექტივები ამ დიდ ფორუმში არ მონაწილეობენ), ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები სპარტაკიადისთვის მზადებას შარშან შემოდგომაზე შეუდგა უფროსი



საქართველოს ქალთა ნაკრების ლიდერი ხათუნა აივაზოვა.

მწვრთნელის, სპორტის ოსტატ ჯემალ მელაძისა და მწვრთნელ სერგეი ხოლოდარის ხელმძღვანელობით.

წინა სპარტაკიადაზე საქართველოს წარგზავნილები XIV ადგილზე იყვნენ. ეს მაშინ, როცა გუნდში თამაშობდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი სარქის სარხოიანი. ეს უმთავრესად ქალთა სუსტმა გამოსვლამ გამოიწვია — ისინი უკანასკნელ, XVI ადგილზე დარჩნენ. ვაჟებმა შედარებით უკეთეს შედეგს მიაღწიეს — XII ადგილზე გავიდნენ.

სამწუხაროდ, ჩვენთვის დღესაც „აქილევსის ქუსლია" ქალთა გუნდი, მწვრთნელებს პრაქტიკულად არჩევანიც არა აქვთ. სასპარტაკიადო გუნდში ოთხი ქალი და ამდენივე ვაჟი უნდა იყოს. სპორტის ოსტატი ხათუნა აივაზოვა, ოსტატობის კანდიდატები ნატალია რაზმაძე, სოფიო ტრიანდაფილიდი (სამივე — თბილისი) და ხათუნა ზარბაზოია (ბათუმი) — აი, ის ოთხეული, რომელმაც ლენინგრადში ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება უნდა დაიცვას. სპარტაკიადაზე საასპარეზოდ დაიშვებიან 1963 და შემდეგ წლებში დაბადებული ჩოგბურთელები. ჩვენი გუნდის წევრები მეტოქეებზე ბევრად უმცროსები არიან. მათგან ყველაზე უფროსებს — ზარბაზოიასა და სოსო ჯახუტაშვილს (ბათუმი) — ჯერ ოცი წელიც არ შესრულებიათ. ჯახუტაშვილთან ერთად ლენინგრადში გასამგზავრებლად ემზადებიან პაატა ფირცხალავა (სოხუმი), ჯიმშერ ციგაძე (ბათუმი) და ვლადიმერ ივანჩიკოვი (თბილისი).

სპარტაკიადისთვის მზადების პროგრამით ჩატარდა რამდენიმე საწვრთნელი შეკრება კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში, სადაც სპორტსმენებს ნაყოფიერი გარჯისათვის ჩინებული პირობები ჰქონდათ შექმნილი. დასკვნითი შეკრება სოხუმში მოეწყო. ჩვენმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საკავშირო ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში, სხვადასხვა ტურნირში. ნაკრების კანდიდატებმა რესპუბლიკურ სპარტაკიადაშიც იასპარეზეს. თუ ქალთა ტურნირში ყველაფერი, ასე ვთქვათ, გეგმის მიხედვით წარიმართა და საქართველოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ხათუნა აივაზოვამ აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა, ვაჟთა შეჯიბრების ფინალში ყველასათვის მოულოდნელად გავიდნენ სოხუმელი სპორტსმენები ფირცხალავა და ანდრეი ბარბოი. ეს აფხაზეთის წარმომადგენელთა თვალსაჩინო მიღწევაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე არც ერთ სოხუმელ ჩოგბურთელს არ უთამაშია რესპუბლიკის ჩემპიონატისა თუ სპარტაკიადის ფინალში. ფინალური ორთაბრძოლა ბარბოიმ იოლად მოიგო და ჩემპიონობა მოიპოვა.

ბოლო ხანს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ჩოგბურთის არეალის გასაფართოებლად. მესამე წელიწადია, რაც რესპუბლიკურ სარბიელზე ბორჯომელი სპორტსმენები გამოჩნდნენ. მათ შორის არის რამდენიმე პერსპექტიული ჭაბუკი, რომელთაგან უძლიერესია წარსულში ცნობილი ფეხბურთელის ჯემალ ზეინკლიშვილის ვაჟი — თენგიზი. დარწმუნებული ვართ, ნორჩ სპორტსმენებს ვარჯიშისათვის თუნდაც მინიმალური პირობები რომ შეუქმნან, შედეგები ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იქნება.

სასიამოვნო ძვრები მოხდა ბოლნისში. დიდი ხანი არ არის, რაც იქ მუშაობას შეუდგა გამოცდილი მწვრთნელი, თანამედროვე ჩოგბურთის თეორიის შესანიშნავი მცოდნე გიორგი ზახაროვი. ადგილობრივი სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ნოდარ კორძაძის თაოსნობით გამოიყო დარბაზი, შეიძი-



ვაჟთა გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა სოსო ჯახუტაშვილი.

ნეს ინვენტარი... მონდომებამ უკვე გამოიღო შედეგი — წლევანდელ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ახალბედებმა საერთო-გუნდურ ჩათვლაში VI ადგილი მოიპოვეს, რაც უდავოდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს (ასპარეზობაში 12 ნაკრები მონაწილეობდა). აქვე დავძენთ, რომ საშემოდგომო არდადეგებზე ბოლნისში დაგეგმილია მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობის ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს სპორტის ამ სახეობის შემდგომ პოპულარიზაციას. ერთი სიტყვით, ბოლნისელთა მაგალითი სხვებისთვისაც მისაბაძი უნდა გახდეს.

რესპუბლიკის ჩოგბურთის რუკაზე ახალი ცენტრების გაჩენასთან ერთად შეშფოთებას იწვევს ტრადიციულ ცენტრებში — ქუთაისსა და ცხინვალში — შექმნილი მდგომარეობა. იქ ადგილობრივ



საქართველოს მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრები სსრ კავშირის ხალხთა IX საკავშირო სპარტაკიადისთვის ემზადება.

მწვრთნელებსა და მათ აღსაზრდელებს ნორმალური სავარჯიშო პირობები არა აქვთ.

აშკარად დათმეს პოზიციები აჭარელმა ჩოგბურთელებმა. 10-15 წლის წინ ბათუმში ერთი-ორი მწვრთნელი მუშაობდა და დარბაზიც ერთი ციცქნა ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის კარლო გუგუშვილის მოწაფეები რესპუბლიკაში წლების მანძილზე არავის უთმობდნენ პირველობას. ბოლო ხანს კი, თუმცა იქ ახალგაზრდა მწვრთნელთა მთელი რაზმი შეუდგა მუშაობას, საიმედო შედეგი მაინც არ ჩანს. საქმე იქამდე მივიდა, რომ წლევანდელ სპარტაკიადაზე ბათუმელი სპორტსმენები თბილისელებს კი არ ეცილებოდნენ პირველობას (როგორც ეს წინათ იყო), არამედ უფრო იმაზე ფიქრობდნენ, რომ აფხაზეთის წარმომადგენლებთან გუნდური მეორე ადგილი არ წაეგოთ.

გვინდა შევჩერდეთ ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში გამართულ კიდევ ერთ შეჯიბრებაზე. ეს გახლავთ საკავშირო ტურნირი, რომელიც რესპუბლიკის სპორტსახკომმა ჩაატარა. ასპარეზობაში მასპინძლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოსა და ერევნის გუნდებმა. ამასთან, თითქმის ყველამ თავისი უძლიერესი, სასპარტაკიადო შემადგენლობა ჩამოიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ჩოგბურთელები პრიზიორთა შორის ვერ მოხვდნენ, ტურნირმა უდავოდ დიდი სარგებლობა მოუტანა ყოველ მათგანს. მწვრთნელებსაც საშუალება მიეცათ შეემოწმებინათ სპორტსმენთა მზადყოფნა, გაეანალიზებინათ მზადე-

ბის პროცესში არსებული ნაკლოვანებები და მათ გამოსწორებაზეც ეზრუნათ. იმედია, ეს შეჯიბრება ტრადიციული გახდება და მომავალში კიდევ უფრო ძლიერ შემადგენლობას მოუყრის თავს.

ლენინგრადში საქართველოს ქალთა გუნდის მეტოქეები იქნებიან რუსეთის ფედერაციის, ყაზახეთისა და ტაჯიკეთის კოლექტივები, ვაჟებისა — რსფსრ-ის, ლიტვისა და უზბეკეთის წარმომადგენლები. ჩვენი გუნდების ამოცანაა ქვეჯგუფებში თითო შეხვედრის მოგება, რაც მათ შემდგომ ეტაპზე IX-XII ადგილებისათვის ბრძოლის უფლებას მისცემს. გუნდურ შედეგებს დაემატება პირად შეჯიბრებაში მოპოვებული ქულები და ამის შემდეგ განაწილდება საერთო გუნდური ადგილები. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების პროგნოზი ერთობ მოკრძალებულია — XII ადგილი, თუმცა მას საამისოდ ბრძოლა დასჭირდება ესტონეთის, მოლდავეთისა და ტაჯიკეთის კოლექტივებთან.

**გია ახალაძე,**
საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.

## პირადი შედეგები

**სასპარტაკიადო** ტურნირების პირად ჩათვლაში საქართველოს პრიზიორები არა ჰყოლია. 1959 წელს ქალთა ერთეულების შეხვედრაში ელისო ხანთაძემ მეცხრე ადგილი დაიკავა. ეს იყო და ეს. სამაგიეროდ ქალთა წყვილების შეჯიბრებაში ელისო ხანთაძესა და ლალი იზაშვილს IV შედეგი ჰქონდათ.

რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას იმ წელს აღნიშნულ მაგიდისჩოგბურთელთა გარდა იცავდნენ რობერტ კუდაშვილი, არსენ ასლანიანი, ანატოლი კოსინკინი, ნოდარ ჯაფარიძე და სიმელა პარფინიდი.

1963 წლის სპარტაკიადაზე ქალთა ერთეულების ტურნირში სიმელა პარფინიდიმ VII ადგილი დაიკავა, ვაჟთა ტურნირში კი ალექსანდრე არუთინოვი VIII იყო (იმ წელს სარქის სარხოიანი მეოცე ადგილზე გავიდა). სიმელა პარფინიდის უკეთესი შედეგები ჰქონდა წყვილთა თანრიგში (IV ადგილი), სადაც მისი პარტნიორი ლატვიელი ძიდრა ლუკინა გახლდათ.

პრიზიორები ჩვენს რესპუბლიკას არც სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე ჰყოლია.

## გუნდური ადგილებ[ი]

**საბჭოთა** კავშირის ხალხ[თა] პირველი სპარტაკიადის პროგ[რა]მაში მაგიდის ჩოგბურთი არ ი[ყო] შეტანილი. ამ სახეობაში შეჯ[იბ]რება მხოლოდ ოთხი წლის შ[ემ]დეგ, II სპარტაკიადაზე ჩატარ[და], მაგრამ ასაკობრივი ცენზი მაგი[დის] ჩოგბურთელთათვის მაშინ [არ] იყო განსაზღვრული და გუნდ[ები] უმთავრესად ასაკოვანი სპორ[ტ]სმენებით იყო დაკომპლექტებუ[ლი]. სწორედ ამიტომ გამარჯვება რ[ო]ორც პირად, ისე გუნდურ ჩა[თვ]ლაში ვეტერან ჩოგბურთელებს [ე]რჩათ.

სამაგიეროდ III სპარტაკია[და]ზე (1963 წელი) გუნდების შემა[დ]გენლობა თვისობრივად განახ[ლდა], გაახალგაზრდავდა და ამან შ[ეჯი]ბრების შედეგებზეც იქონია გ[ავ]ლენა.

მერე მაგიდის ჩოგბურთი [სპა]რტაკიადის პროგრამიდან ამო[ი]ღეს და ბოლო 20 წლის მან[ძი]ლზე სპორტის ამ სახეობაში [ერ]თი რანგის შეჯიბრება არ გამა[რ]ულა. ასე რომ, მაგიდის ჩოგბ[ურ]თელთა რიგით მესამე სასპარ[ტა]კიადო ტურნირი 1983 წელს მო[ე]წყო.

აი, როგორ გამოვიდნენ ამ შეჯ[ი]ბრებებში საქართველოს მაგ[იდის] ჩოგბურთელთა ნაკრები კოლ[ექ]ტივები:

1959 წ. II სპარტაკიადა — I[...] ადგილი

1963 წ. III სპარტაკიადა — [...]

1983 წ. VIII სპარტაკიადა — XI[...]

საკლუბო დაწესებულებებში

## კარგად დაიწყეს

**ვანის** ტურისტულმა კლუბმა „არგომ" წლეულს პირველად მიიღო დამსვენებლები, იგი კარგად მომზადებული შეხვდა ახალ სეზონს. „არგომ" (დირექტორი — სპორტის ოსტატი მევლუდ აბრამიძე), რომელიც ერთდროულად 100 ტურისტს ემსახურება, უკვე 2 ათასზე მეტ დამსვენებელს უმასპინძლა, ისინი ჩამოვიდნენ რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, უზბეკეთიდან, ყაზახეთიდან და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან. ტურისტები ვანში ხუთი დღით ჩამოდიან. აქ მათ განკარგულებაშია მყუდრო, ნათელი ორადგილიანი ნომრები, მოხერხებული ავეჯით გაწყობილი სასადილო, კაფე-ბარი, ლამაზად გაფორმებული კლუბი...

„არგოს" აქვს ფრენბურთისა და მინი-ფეხბურთის მოედნები. დიდი ყურადღება ექცევა კულტმასობრივ მუშაობას, ეწყობა ექსკურსიები... ტურისტულ კლუბს აქვს დამხმარე მეურნეობა, მომავალში გათვალისწინებულია თევზის სატბორე მეურნეობის მოწყობა.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**
(„ლელოს" კორ).

## მოკლედ

**ფეხბურთელთა** 6 გუნდი მონაწილეობდა თასის სარაიონო გათამაშებაში. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს სოფ. ჭანდრის კოლმეურნეობისა და გურჯაანის ადგილმრეწველობის გუნდებმა.

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ჭანდრელმა ფეხბურთელებმა, რომლებიც დაეუფლნენ გარდამავალ თასს.

**ბიჭიკო ჩივიაშვილი.**
გურჯაანი.

საქართველოს პროფსაბჭოს სა[...] ტულ ნაგებობათა სამმართვე[ლოს] ფიზკულტურის სახლი № 1

აცხადებს მიღებას გამაჯანს[აღ]ბელი, საერთო ფიზიკური მო[მზა]დებისა და რიტმული ტანვარჯ[იშის] ჯგუფებში. მიიღებიან ყველა [ასა]კის ქალები და ვაჟები.

ჩვენი მისამართია: პლეხანო[ვის] გამზირი, № 95. ტელ[.] 95-63-78.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 7 სექტემბერი.

**„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 4:3 (2:1).**

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ცვეიბა, კუდინოვი, კაკილაშვილი (გოგრიჭიანი, 77), სვანაძე, სულაქველიძე, ცაავა (გურული, 81), ჩელებაძე, რევიშვილი.

„ტორპედო“: ხარინი, კრუგლოვი, გოსტენინი, პრიგოდა, შავეიკო, გრიშინი, ი. სავიჩევი, კობზევი, ნ. სავიჩევი (გრეჩნევი, 39), პოლუკაროვი, პლოტნიკოვი (პისარევი, 57).

მსაჯი მიროსლავ სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).

გოლები: ცაავა (20, 63), ნ. სავიჩევი (28), გოსტენინი (44, საკუთარ კარში), კობზევი (70), პრიგოდა (73), გურული (88).

გააფრთხილეს კეტაშვილი, გოსტენინი.

ჯერ კიდევ მცირე ხნის წინ მოსკოვის „ტორპედო“ სათავეში ედგა საკავშირო ჩემპიონატს და საპრიზო ადგილის მოპოვების ერთ-ერთ ყველაზე რეალურ პრეტენდენტად ითვლებოდა. საერთოდ, ავტოქარხნელები შუა სეზონამდე საკმაოდ ძლიერად თამაშობდნენ, რის დასტურადაც საბჭოთა კავშირის თასის მოგებაც გამოგვადგება. მაგრამ დაიწყო ჩემპიონატის მეორე წრე და „ტორპედოს“ თამაშში უცნაური მეტამორფოზა მოხდა — თბილისის „დინამოსთან“ გუშინწინდელ მატჩამდე ჩატარებული ზედიზედ 8 შეხვედრიდან მოსკოველებმა ვერც ერთი ვერ მოიგეს, ფრეთა ლიმიტიც ამოწურეს და სატურნირო ცხრილშიც თანდათან ჩამოქვეითდნენ. ამასთან დაკავშირებით „სოვეტსკი სპორტმა“ გამოაქვეყნა ინტერვიუ „ტორპედოს“ უფროს მწვრთნელთან ვ. ივანოვთან, რომელიც თავისი გუნდის ბოლოდროინდელ წარუმატებლობას ცალკეულ მოთამაშეთა მიერ საკუთარი შესაძლებლობების არასწორი შეფასებით ხსნის. გაზეთში თავის გამოსვლას ივანოვი საკმაოდ ოპტიმისტური ტონით ამთავრებს, რითაც თითქოს აფრთხილებს „ტორპედოს“ მომავალ მეტოქეებს — ასე გაგრძელებას არამც და არამც არ ვაპირებთო.

ეს დაადასტურა საანგარიშო შეხვედრის დასაწყისმაც: მე-4 წუთზე ი. სავიჩევმა მარჯვნიდან ზუსტად ჩააწოდა გრიშინს, რომელმაც წამით დაასწრო სვანაძეს და თავით დაარტყა მიზანში. მასპინძელთა კარი ძელმა იხსნა. ეს ეპიზოდი დინამოელთათვის ერთგვარი გაკვეთილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თამაშის განმავლობაში ჩვენს მცველებსა და მეკარეს კიდევ რამდენიმე შეცდომა მოუვიდათ — თბილისელთა კარში გატანილი სამივე გოლი სწორედ ამ შეცდომათა შედეგი გახლდათ. საბედნიეროდ, ამჯერად მასპინძლებმა ერთი ბურთით მეტის გატანა შეძლეს და 2 ქულაც მოიპოვეს.

...მე-9 წუთზე სულაქველიძემ მინდვრის სიღრმიდან გრძელი გადაცემა გააკეთა საჯარიმო ხაზთან მყოფი ჩელებაძის მისამართით, რომელმაც საჰაერო ბრძოლა მოუგო გოსტენინს და თავით ზუსტად მიაწოდა ბურთი ჩივაძეს (ჩვენი გუნდის კაპიტანი ამჯერადაც წინა ხაზზე მოქმედებდა). ჩივაძის დარტყმა მცველმა ხელით მოიგერია. წესით, ამას 11-მეტრიანი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ სტუპარმა სხვაგვარად განსაჯა... სხვათა შორის, ამ შეცდომის გამოსწორება არბიტრმა მეტად თავისებურად გადაწყვიტა: მომდევნო ეპიზოდში, როცა სულაქველიძე აშკარად უხეშად მოექცა მეტოქეს, სტუპარმა თამაშის გაგრძელების ნიშანი მისცა. ერთ შეცდომას მეორე დაემატა.



ხუთი წუთის შემდეგ შესაშური რეაქცია გამოავლინა „ტორპედოს“ ახალგაზრდა მეკარემ ხარინმა, რომელმაც ზედიზედ მოიგერია ჩელებაძისა და ჩივაძის ძლიერი დარტყმები. გავიდა 6 წუთი და თბილისელებმა კვლავ თავიანთი „საფირმო“ კომბინაცია გაითამაშეს: ჩელებაძემ კარგად მიიღო მინდვრის შუაგულიდან ჩაწოდებული ბურთი და ისევ ზუსტად მიაწოდა იგი ჩივაძეს. ამ უკანასკნელის დარტყმა ხარინმა მოიგერია, მაგრამ ბურთთან ყველაზე ადრე ცაავა გაჩნდა და ანგარიშიც გაიხსნა—1:0.

ტორპედოელებს სულ 8 წუთი დასჭირდათ წონასწორობის აღსადგენად: 28-ე წუთზე ნ. სავიჩევმა კარგად ისარგებლა კრუგლოვის გადაცემით, მეტოქის მოთამაშეთა უყურადღებობით და საპასუხო გოლი გაიტანა — 1:1.

მასპინძლებმა ტაიმის ბოლოსთვის მაინც მოახერხეს დაწინაურება. ის, რაც 44-ე წუთზე მოხდა, უყოყმანოდ უნდა მივაკუთვნოთ საფეხბურთო კურიოზების რიცხვს. ამიტომ, ჩვენი აზრით, ამ მომენტზე ღირს შეჩერება.

კეტაშვილის გარღვევა აკრძალული ილეთით შეაჩერა გოსტენინმა, რისთვისაც მსაჯმა საჯარიმოც დანიშნა და ტორპედოელთა მესამე ნომერს ყვითელი ბარათიც უჩვენა. ჯარიმის დარტყმა ცაავას დაევალა. ცაავამ ბურთი საჯარიმოსაკენ ჩააწოდა, სადაც მის მისაღებად ჩელებაძე ემზადებოდა. მაგრამ ამჯერად მას გოსტენინმა დაასწრო და... ზუსტი თავური დარტყმით საკუთარი კარი „აიღო“. სულ რაღაც ერთი წუთის მანძილზე გოსტენინმა სამჯერ მოასწრო „თავის გამოჩენა“: დაჯარიმდა, გაფრთხილება მიიღო და საკუთარ კარში გოლიც გაიტანა!

63-ე წუთზე მასპინძლები კიდევ უფრო დაწინაურდნენ: ბურთს ცაავა დაეუფლა, წინ გაიჭრა და ზუსტად დაარტყა შორეულ, დაბალ კუთხეში — 3:1. საკუთარ მინდორზე, მატჩის დამთავრებამდე 27 წუთით ადრე მოპოვებული ორბურთიანი უპირატესობა თითქოს საიმედო გარანტია უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობდით მაყურებლები. ეტყობა, ასე იფიქრეს თვით დინამოელებმაც, რისთვისაც სულ მალე დაისაჯნენ: ათი წუთის შემდეგ ანგარიში კვლავ საყაიმო იყო — 3:3.

დარჩენილმა 17 წუთმა მასპინძელთა შეტევებში განვლო, თუმცა, მეტოქის კარს რეალური ხიფათი მათ მხოლოდ ორჯერ შეუქმნეს: 86-ე წუთზე ჩელებაძემ მეკარის პირისპირ გაიყვანა გოგრიჭიანი (ხარინმა კუთხურზე მოიგერია ბურთი), 88-ე წუთზე კი იმავე ჩელებაძემ (მერამდენედ!) ზუსტად მიაწოდა ბურთი გურულს, რომელმაც არ დააყოვნა და ანგარიში გაზარდა — 4:3. აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავიხსენოთ, რომ ჩელებაძემ გუშინწინდელ მეტოქეთა პირველი წრის შეხვედრაშიც შესანიშნავად ითამაშა — ორჯერ აიღო „ტორპედოს“ კარი და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

**დავით კაკაბაძე.**

---

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 7 სექტემბერი.

**„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა) 2:2 (0:1)**

„ტორპედო“: მიქაძე, ფრუიძე, ჭელიძე, მალანია, თევზაძე, ბარათაშვილი, კორღალიძე, ჟორჟიკაშვილი, მანაგაძე, ხაგბა (მეგრელაძე, 46), შენგელია.

„ქაირათი“: უბიკინი, გრიჯანი, ჯუმანოვი, იაროვენკო, ვოლგინი, კარაჩუნი, ოგაი (კულინიჩი, 59), ლედოვსკიხი, სალიმოვი, მასუდოვი, ფეხლევანიდი (სოროკინი, 79).

გოლები: კარაჩუნი (25), კორღალიძე (52, 57), მასუდოვი (78).

მსაჯი ალექსი სპირინი (მოსკოვი).

გააფრთხილეს ბარათაშვილი, ხაგბა, ჟორჟიკაშვილი, ვოლგინი.

დუბლიორები — 1:2. ქუთაისელთაგან გოლი გაიტანა ხუნდაძემ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტურისთვის მე-12 ადგილზე მყოფი „ქაირათი“ 6 ქულით უსწრებდა „ტორპედოს“, არც მას აქვს „წყნარი ცხოვრება“ — ალმაათელებსაც ემუქრებათ უმაღლესი ლიგის დატოვების საშიშროება. ამიტომ წინა ტურში „ქაირათმა“ ძალების სრული მობილიზებით შეძლო კიევის „დინამოს“ დამარცხება და ამ წარმატებით წახალისებული, ბუნებრივია, ქუთაისშიც მხოლოდ სასურველი შედეგის მისაღწევად იბრძოდა. იგივე მიზანი ამოძრავებდათ მასპინძლებს: 2 ქულა მათ ჯერ კიდევ უტოვებდა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების რაღაც შანსებს, მეორეც — „არარატთან“ საბედისწერო დამარცხების შემდეგ, მხოლოდ გამარჯვებით შეიძლებოდა სამართლიანად განაწყენებული საკუთარი გულშემატკივრების „შემორიგება“. ერთი სიტყვით, აუტსაიდერების ეს ორთაბრძოლა უფრო უკომპრომისო თამაშს გვპირდებოდა, ვიდრე სინამდვილეში ვიხილეთ მინდორზე, განსაკუთრებით — პირველ ტაიმში, რომელიც დაბალ ტემპში წარიმართა. როგორც აღმოჩნდა, ასეთი ტაქტიკა სტუმრებს გაცილებით აძლევდა ხელს. მათ გულდაგულ გაამაგრეს საკუთარი კარის მისადგომები და არც გასჭირვებიათ ტორპედოელთა სიმწვავეს მოკლებული, იშვიათი შეტევების შეჩერება. პირველი 45 წუთის განმავლობაში მხოლოდ ორი მომენტის აღნიშვნა თუ შეგვიძლია, ამ ეპიზოდებშიც ისევ ნახევარმცველები აქტიურობდნენ. მე-5 წუთზე კორღალიძე გავიდა კარგ პოზიციაში, ხოლო მე-40 წუთზე მეკარის პირისპირ დარჩენილმა ჟორჟიკაშვილმა იჩქარა და არაზუსტად დაარტყა. დანარჩენი 35 წუთი?.. მართალია, მასპინძლებს მოუნდომებლობას ვერ დავწამებთ, მაგრამ უბიკინს არავითარი ჯაფა არ დასდგომია, მიქაძემ კი მე-15 წუთზე ძლივს მოიგერია ფეხლევანიდის ძლიერი დარტყმა, 10 წუთის შემდეგ კი უძლური აღმოჩნდა ეხსნა კარი კარაჩუნის დარტყმის შემდეგ, რომელიც მცველთა შეცდომის შედეგად მეკარის პირისპირ აღმოჩნდა.

შესვენების შემდეგ ტორპედოელებმა მკვეთრად მოუმატეს თამაშის ტემპს. განსაკუთრებით აქტიურობდა კორღალიძე, შეტევებს მეტი სიმწვავე შემატა მინდორზე ახლად გამოსულმა მეგრელაძემ. სწორედ ისინი მონაწილეობდნენ იმ იერიშებშიც, რომლებიც ორი გოლით დაგვირგვინდა, 52-ე და 57-ე წუთებზე კორღალიძემ გამოიჩინა თავი. ამ წუთებში მასპინძლები მთელი დატვირთვით, დიდი სისწრაფით მოქმედებდნენ. ალმაათელებს გაუჭირდათ, ისინი ზედიზედ შეცდნენ და ტორპედოელებს რამდენჯერმე შეეძლოთ მეტოქის კარის აღება, ფრუიძის, მეგრელაძის, ჟორჟიკაშვილისა და ისევ კორღალიძის დარტყმების შემდეგ სტუმართა კარი ბეწვზე ეკიდა. ქუთაისელთა ასეთი თამაში მეტოქეს თითქოს მატჩის ხსნის არავითარ იმედს არ უტოვებდა, მაგრამ საკმარისი გამოდგა დაცვაში კიდევ ერთი უხეში შეცდომა, რომ 78-ე წუთზე მასუდოვმა ანგარიში გაათანაბრა. დარჩენილ დროში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ალმაათელებმა კვლავ გადაიტანეს თამაში მათთვის ხელსაყრელ დაბალ ტემპში და არც გასჭირვებიათ ანგარიშის შენარჩუნება.

**თამაზ ხარაბაძე.**
(„ლელოს“ საკ. კორ.).

**გათამაშების ცხრილი ⊙ მდგომარეობა 9 სექტემბრისთვის**

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 23 | 10 | 6 | 7 | 38-18 | 26 | (—20) |
| 2. | „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 22 | 10 | 6 | 6 | 34-22 | 26 | (—18) |
| 3. | „შახტიორი“ (დონეცკი) | 23 | 9 | 8 | 6 | 32-22 | 26 | (—20) |
| 4. | „დინამო“ (მოსკოვი) | 21 | 9 | 8 | 4 | 27-21 | 26 | (—16) |
| 5. | „დინამო“ (თბილისი) | 23 | 8 | 8 | 7 | 24-26 | 24 | (—22) |
| 6. | „ტორპედო“ (მოსკოვი) | 24 | 7 | 11 | 6 | 25-24 | 24 | (—24) |
| 7. | „დინამო“ (კიევი) | 18 | 8 | 7 | 3 | 25-16 | 23 | (—13) |
| 8. | „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 23 | 7 | 9 | 7 | 31-30 | 23 | (—23) |
| 9. | „ნეფთჩი“ (ბაქო) | 23 | 6 | 11 | 6 | 25-24 | 22 | (—24) |
| 10. | „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 23 | 8 | 5 | 10 | 20-26 | 21 | (—25) |
| 11. | „არარატი“ (ერევანი) | 23 | 7 | 7 | 9 | 19-24 | 21 | (—25) |
| 12. | „დინამო“ (მინსკი) | 23 | 7 | 7 | 9 | 22-32 | 21 | (—25) |
| 13. | „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 23 | 7 | 7 | 9 | 20-30 | 21 | (—25) |
| 14. | „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 23 | 7 | 6 | 10 | 21-24 | 20 | (—26) |
| 15. | „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 22 | 6 | 7 | 9 | 16-19 | 19 | (—25) |
| 16. | „ტორპედო“ (ქუთაისი) | 23 | 4 | 7 | 12 | 22-43 | 15 | (—31) |

## სხვა მატჩები:

**7 სექტემბერს შედგა სსრ კავშირის 49-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 23-ე ტურის სხვა მატჩებიც:**

„ზენიტი“ — „სპარტაკი“ 0:1
„ჟალგირისი“ — „დინამო“ მ. 1:1
„შახტიორი“ — „დნეპრი“ 1:1
„მეტალისტი“ — „დინამო“ კ. 1:0
„ნეფთჩი“ — „დინამო“ მნ. 1:1
„არარატი“ — „ჩერნომორეცი“ 1:1

---

## I ლიგა

**6 სექტემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 33-ე ტურის მატჩები.**

**„გურია“ (ლანჩხუთი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 2:1 (2:1).**

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 6 სექტემბერი.

„გურია“: იმნაძე, კონდრატიევი, გილიგაშვილი, დანელია, მელიქია, შვეცოვი (ე. თევზაძე), კოპალეიშვილი, ტყებუჩავა, ჩხაიძე (ებანოიძე), ფრიდონიშვილი, აკოფიანი.

„როსტსელმაში“: რუდენკო, რომანჩუკი, პაროვინი, ოკუნევი, გონჩაროვი (ივანოვი), ანდრეევი, პაპანდოპულო (ლიახი), გიცელოვი, სელინი, სტეპუშკინი, ბალახნინი.

მსაჯი ვ. გუსკოვი (მოსკოვი).

გააფრთხილეს სტეპუშკინი.

ლანჩხუთელ ფეხბურთელთა წლევანდელი წარმატებები ბევრს თავდაპირველად სენსაციად მიაჩნდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილმა, ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა კოლექტივმა გაუძლო არა მარტო სასტარტო დაძაბულობას, არამედ, როგორც ხედავთ, შემდგომშიც ძლიერად ითამაშა და უკვე კარგა ხანია უმაღლეს ლიგაში გადასვლის ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტის როლში გვევლინება.

როსტოველებთან მატჩში მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს თამაში, მაგრამ ერთ-ერთ მომენტში, როცა მთელი გუნდი შეტევაზე იყო გადასული, „როსტსელმაშმა“ სწრაფი კონტრიერიში განახორციელა, ანდრეევი სწრაფად გავიდა წინ, გადააწოდა ოკუნევს და ამ უკანასკნელმაც თავით გაგზავნა ბურთი მიზანში — 1:0.

საპასუხო ბურთი სულ მალე გაიტანა ფრიდონიშვილმა კოპალეიშვილის გადაცემის შემდეგ, 25-ე წუთზე კი იმავე ფრიდონიშვილმა მიიღო აკოფიანის პასი და დააწინაურა „გურია“ — 2:1.

ორივე გუნდი ენერგიულად, მონდომებით იბრძოდა, ბურთის გატანა ტაიმის დასასრულამდე შეეძლო კოპალეიშვილს, ჩხაიძეს, აკოფიანს, ამავე დროს სახიფათოდ უტევდნენ როსტოველებიც, ძელს მოახვედრა დარტყმა ანდრეევმა, ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა ბალახნინმა.

ბრძოლის სიმწვავე არ დამცხრალა შესვენების შემდეგაც, განსაკუთრებით მძიმე სამუშაო დააწვათ „გურიის“ დაცვას და მეკარე იმნაძეს ბოლო 10 წუთის განმავლობაში, მაგრამ ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა ყველა ხიფათს წარმატებით გაართვეს თავი და დამსახურებულად მოიპოვეს მორიგი გამარჯვება.

**ავთანდილ ორმოცაძე.**
(ჩვენი კორ.).

ბათუმის დინამოელები ამავე დღეს დონის როსტოვში შეხვდნენ ადგილობრივ არმიელთა გუნდს და მარცხი განიცადეს ანგარიშით 0:5.

**ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები:** „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:2, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:0, „ატლანტასი“ (კლაიპედა) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 1:1, „დაუგავა“ (რიგა) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 0:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 2:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:1.

იხ. 33-4 33.

**წერილი ბულგარეთიდან**

# ჭადრაკის ზეიმი სოფიაში

**ასე** აღიქვამენ ბულგარეთში მსოფლიო პირველობის მატჩს მაია ჩიბურდანიძესა და ელენა ახმილოვსკაიას შორის. ეს იგრძნობა თითქმის ყოველ ნაბიჯზე. გაზეთები დიდ ადგილს უთმობენ ამ მატჩს, საერთოდ, ქართულ ჭადრაკს.

ბულგარელებმა თავიდანვე დიდი ზრუნვა და ყურადღება გვაგრძნობინეს, მატჩის მონაწილეებს დაუთმეს დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნაგებობა — ლუდმილა ჟივკოვას სახელობის კულტურის სახალხო სასახლე. სწორედ ამ სასახლის მთავარ დარბაზში ჩატარდა ამას წინათ ბულგარეთის კომპარტიის XIII ყრილობა. კომპლექსის ერთ-ერთი, ხუთასადგილიანი ლამაზი დარბაზი მოჭადრაკეთა „ბრძოლის ველად" გადაიქცა, იქვე, ვეებ ფოიეში მოეწყო მსოფლიო ჩემპიონისა და პრეტენდენტისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა.

სასახლე აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. მაგალითად, ფოიეში დგას სამი მონიტორი, რომელთა საშუალებითაც მაყურებელი თვალს ადევნებს თამაშის მსვლელობას. ათი ასეთივე მონიტორია პრეს-ცენტრში. საგანგებო კომპიუტერი ყოველი 8-10 სვლის შემდეგ „იძლევა" ინფორმაციას პარტიის სვლებითა და დიაგრამაზე აღბეჭდილი პოზიციით.

— ჩვენს ქვეყანაში მსოფლიო პირველობის მატჩი პირველად ტარდება — გვეუბნება შეჯიბრების დირექტორი (აქ ასე უწოდებენ მატჩის ორგანიზატორ-პასუხისმგებელ ხელმძღვანელს), ჭადრაკის გამოჩენილი ბულგარელი მოღვაწე, საერთაშორისო ოსტატი და არბიტრი, ფიდე-ს ცენტრალური კომიტეტის წევრი, 72 წლის ანდრეი მალჩევი. — ეს მეტად დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

მატჩის მონაწილენი ჩინებულად მოეწყვნენ. მათ შესანიშნავი პირობები აქვთ თამაშისა და დასვენებისთვის.

მაია ჩიბურდანიძე თავისი ამალით ცხოვრობს სასტუმრო „ვიტოშანიუ-ოტანში", რომელიც სოფიის ყველაზე მაღალ ადგილზე მდებარეობს. მისი ბინა მე-17 სართულზეა, საიდანაც მთელი ქალაქი ხელისგულივით ჩანს. დასასვენებლად და ტყეში სასეირნოდ ვიტოშის მთაზე დადის ავტომანქანით. ელენა ახმილოვსკაია „პარკ-ოტელ მოსკვაში" მოეწყო. მან ეს სასტუმრო ამჯობინა დიდი პარკის გამო. აქვე დაბინავდნენ ელენას მეუღლე ვლადიმერ პეტუხოვი და ორივე სეკუნდანტი — იური ანიკაევი და ალბერტ კაპენგუტი.

მატჩზე თავიდანვე დიდი სტუმრიანობაა. ფიდე-ს პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი და საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ ენდელაძე ბულგარეთის სპორტის მესვეურებმა საგანგებოდ მიიწვიეს მატჩის „სტარტზე".

ფიდე-ს პრეზიდენტმა გვითხრა, რომ ის სოფიაში პირდაპირ ლონდონიდან ჩამოფრინდა, სადაც კასპაროვ-კარპოვის მატჩ-რევანშის პირველი ნახევარი ჩატარდა. აქედან ლენინგრადში გავემგზავრები, 2 ოქტომბერს კი ბორჯომში ვაპირებ სტუმრობასო. როგორც იცით, ჩიბურდანიძე-ახმილოვსკაიას მატჩის მეორე ნახევარი ამ დღეს დაიწყება ლიკანის საკონცერტო დარბაზში.

პირველ პარტიას დაესწრო ონის სახალხო თეატრის მთელი დასი საქართველოს სსრ სახალხო არტისტის გიგა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

როგორ მოხვდნენ ონელები სოფიაში? თეატრის კოლექტივი გასულ სეზონში მოპოვებული შემოქმედებითი წარმატებებისთვის საქართველოს კულტურის სამინისტრომ დააჯილდოვა ბულგარეთის ტურისტული საგზურებით.

დარბაზში თვალს მოჰკრავთ მატჩზე ჩამოსული სპეციალური ტურისტული ჯგუფის წევრებს, რომელთა შორის არიან გულშემატკივრები თბილისიდან, ბორჯომიდან, ქუთაისიდან, ჭობულეთიდან...

სოფიაში იმყოფება საქართველოს ტელეფილმების სტუდიის რეჟისორი ჯუმბერ ებრალიძე, რომელიც ამ მატჩზე დოკუმენტურ ფილმს იღებს. მან ჩამოიტანა თავისი ახალი დოკუმენტური ფილმი „კაისას რჩეულნი", რომელიც ქართველ დიდოსტატ ქალებს ეძღვნება, ფილმმა სპეციალისტებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. მალე შედგება ამ ფილმის პრემიერა ბულგარეთის ტელევიზიით. ქართველი მაყურებელი კი მას ნახავს ბორჯომში მატჩის მეორე ნახევრის გახსნის დღეს — 2 ოქტომბერს.

ერთი სიტყვით, სოფიაში ჭადრაკის ზეიმის დღეებია. ამ ზეიმში აქტიურად მონაწილეობენ ცნობილი ბულგარელი დიდოსტატები და ოსტატები, საჭადრაკო ცხოვრების ორგანიზატორები.

— ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მატჩი ჩვენთან ტარდება. მე ბევრჯერ ვარ ნამყოფი საქართველოში, შევხვედრივარ ნონა გაფრინდაშვილს, ელისო კაკაბაძეს და მანანა ტოგონიძეს. დღეს სწორედ საქართველოს წარგზავნილები გვეხმარებიან ქალთა ჭადრაკის განვითარებაში. ამიტომ არ შემიძლია მადლობა არ ვუძღვნა მაიასა და ელენას, ფიდე-სა და საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ფედერაციებს, რომ შეჯიბრების პირველი ნახევრის მასპინძლად სოფია აირჩიეს, — გვითხრა მატჩის ექიმმა, წარსულში ცნობილმა ბულგარელმა მოჭადრაკემ, საერთაშორისო ოსტატმა ვენკა ასენოვამ.

**თენგიზ გიორგაძე,**
**(„ლელოს" სპეც. კორ.).**
სოფია.

---

**I ლიგა**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 9 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა" | 31 | 19 | 8 | 4 | 65-31 | 46 |
| „გურია" | 32 | 18 | 5 | 9 | 47-40 | 41 |
| ასკ „კარ." | 32 | 14 | 10 | 8 | 49-34 | 38 |
| „შინიკი" | 32 | 14 | 10 | 8 | 31-22 | 38 |
| „პამირი" | 31 | 14 | 9 | 8 | 47-29 | 37 |
| „ლოკომ." | 32 | 14 | 9 | 9 | 44-38 | 37 |
| ცსკა | 29 | 15 | 5 | 9 | 41-29 | 35 |
| „როტორი" | 31 | 15 | 4 | 12 | 46-38 | 34 |
| „ფაკელი" | 32 | 13 | 7 | 12 | 35-32 | 33 |
| „ფახთაქ." | 31 | 13 | 7 | 11 | 40-44 | 33 |
| „დინამო" ბ. | 32 | 13 | 6 | 13 | 33-44 | 32 |
| „როსტსელ." | 31 | 11 | 10 | 10 | 51-47 | 32 |
| „კოლოსი" | 30 | 11 | 10 | 9 | 31-32 | 32 |
| „მეტალურ." | 31 | 12 | 5 | 14 | 41-37 | 29 |
| ასკ რ. | 31 | 11 | 7 | 13 | 36-34 | 29 |
| „სპარტაკი" | 32 | 9 | 11 | 12 | 41-42 | 29 |
| „ყუბანი" | 31 | 9 | 11 | 11 | 28-32 | 29 |
| „დინ." სტ. | 31 | 8 | 12 | 11 | 40-38 | 28 |
| „კოტაიკი" | 32 | 8 | 11 | 13 | 30-35 | 27 |
| „კუზბასი" | 30 | 8 | 11 | 11 | 34-42 | 27 |
| „ისკრა" | 32 | 8 | 9 | 15 | 22-42 | 25 |
| ასკ ხ. | 31 | 7 | 9 | 15 | 35-48 | 23 |
| „ატლანტ." | 31 | 5 | 9 | 17 | 25-48 | 19 |
| „ნისტრუ" | 32 | 5 | 7 | 20 | 24-63 | 17 |

**დღეს I ლიგის გუნდებს 34-ე ტურის მატჩები აქვთ ჩასატარებელი. ლანჩხუთის „გურია" თავის მინდორზე მიიღებს სტავროპოლის „დინამოს", ხოლო ბათუმის დინამოელები კრასნოდარში შეხვდებიან „ყუბანს".**

---

**მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში**

## ბოლო დღეს ბრინჯაოს ჯილდო

**კოლორადო-სპრინგსი.** დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში. საბჭოთა სპორტსმენებმა შეჯიბრების ბოლო დღეს ბრინჯაოს მედალი მიიღეს. ეს ჯილდო 23 წლის ალა იაკოვლევამ (ველიკიე ლუკი) ჯგუფურ რბოლაში დაიმსახურა 1:39.06. პირველი ადგილი და ოქროს მედალი კი, როგორც სპეციალისტები ვარაუდობდნენ, ფრანგმა ჟეინი ლონგომ მიიღო — 1:38.56,52. მეორე ადგილზე ჯეინელ პარკსი (აშშ) გავიდა. დრო მასაც ისეთივე ჰქონდა, როგორიც იაკოვლევას. ირინა კოლესნიკოვა ამჯერად მეცხრე იყო. გალინა მაციკმა და ნადეჟდა კიბარდინამ შესაბამისად მეთექვსმეტე და მეთვრამეტე ადგილები დაიკავეს.

ვაჟებში ჯგუფური რბოლის ფინიშში ყველაზე ადრე უვე ამპლერმა (გდრ) გადაკვეთა — 4:14.48,56. მომდევნო ადგილებზე ჰოლანდიელები იონ ტალენი (4:14.56) და არიან იაგტი (4:15.12) გავიდნენ. საბჭოთა სპორტსმენებს შორის საუკეთესო შედეგი კიეველ ვლადიმერ პულნიკოვს ჰქონდა — 27-ე ადგილი.

ჩვენმა ნაკრებმა ამ ჩემპიონატში (ტრეკი და საგზატკეცილო რბოლა) ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გდრ-ის ველოსიპედისტებს ამ მხრივ აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი ჰქონდათ — 4 ოქროს, 3 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს ჯილდო.

---

**მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში**

## ნახევარფინალების სტარტზე

ფრენბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე ნახევარფინალური ტურნირები დაიწყო. შეჯიბრებაში მონაწილე თორმეტი გუნდი, რომლებიც ორ ჯგუფად არიან დაყოფილი, პრაღასა და ოსტრავაში ასპარეზობენ.

**პრაღა.** ნახევარფინალური ტურნირის პირველი დღე ასეთი შედეგებით აღინიშნა: სსრ კავშირი-იტალია 3:0, გდრ — იაპონია 3:0, ჩინეთი — აშშ 3:0.

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 3 | 3 | 0 | 3 |
| იაპონია | 3 | 2 | 1 | 2 |
| გდრ | 3 | 2 | 1 | 2 |
| სსრ კავშირი | 3 | 1 | 2 | 1 |
| აშშ | 3 | 1 | 2 | 1 |
| იტალია | 3 | 0 | 3 | 0 |

**ოსტრავა.** აქ ნახევარფინალის სასტარტო მატჩები უფრო დაძაბულად მიმდინარეობდა: ბულგარეთი — ბრაზილია 3:2, კუბა — სამხ. კორეა 3:1, პერუ — ჩეხოსლოვაკია 3:1.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კუბა | 3 | 3 | 0 | 3 |
| ბულგარეთი | 3 | 2 | 1 | 2 |
| პერუ | 3 | 2 | 1 | 2 |
| ს. კორეა | 3 | 2 | 1 | 2 |
| ბრაზილია | 3 | 1 | 2 | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 0 | 3 | 0 |

---

**სპორტლოტო**

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი 36-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 49"-იდან:** 2 (ბიატლონი), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 17 (ციგურაობა), 21 (ცურვა), 40 (რიკაობა), 42 (ჩოგბურთი).

**„სპორტლოტო 5 36"-იდან:** 6 (ძიუდო), 20 (აფროსნობა), 25 (საციგაო სპორტი), 27 (მშვილდოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა).

**ეკრანზე და ეთერში**

**ცენტრალური ტელევიზია. 9 სექტემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **19.15 (2)**; სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა სპორტის ტექნიკურ სახეობებში — **21.30 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში ქალთა შორის (ნახევარფინალური ტურნირი) — **23.55 (1)**.

**საქართველოს ტელევიზია. 9 სექტემბერი.** მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში ქალთა შორის: მ. ჩიბურდანიძე — ე. ახმილოვსკაიას მატჩი — **0.15.**

**საქართველოს რადიო. 9 სექტემბერი.** სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. I ლიგა: „გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (სტავროპოლი) — **22.00.**

---

**საქართველოს პირველობა**

**6 და 7 სექტემბერს გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასკვნითი, 26-ე ტურის მატჩები.**

**აღმოსავლეთი ჯგუფი**

„მადნეული" (ბოლნისი) — „არმაზი" (მცხეთა) 2:2, „ივერია" (ხაშური) — „იმედი" (თბილისი) 5:0, „დურუჯი" (ყვარელი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:2, „შევარდენი"-სპი (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 3:1, „კახეთი" (თელავი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 5:3.

**დასავლეთი ჯგუფი**

„იმერეთი" (ქუთაისი) — „დინამო" (გაგრა) 2:0, „ამირანი" (ოჩამჩირე) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 4:1, „ეგრისი" (ცხაკაია) — „სქური" (წალენჯიხა) 5:1, „მერცხალი" (მახარაძე) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 3:2, „სულორი" (ვანი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 2:1, „შადრევანი" (წყალტუბო) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 1:0.

გამოვლინდნენ გუნდები, რომლებიც ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ბრძოლას გააგრძელებენ I-XII, აგრეთვე, XIII და მომდევნო ადგილებისთვის. პირველ 12 გუნდის შემადგენლობაში **აღმოსავლეთი ჯგუფიდან** შევიდნენ: „შევარდენი"-სპი (თბილისი), „მეტალურგი" (ზესტაფონი), „მადნეული" (ბოლნისი), „არმაზი" (მცხეთა), „კახეთი" (თელავი), „ივერია" (ხაშური); **დასავლეთი ჯგუფიდან** — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ), „ეგრისი" (ცხაკაია), „დინამო" (ზუგდიდი), „სულორი" (ვანი), „ამირანი" (ოჩამჩირე), „შადრევანი" (წყალტუბო).

მომდევნო ადგილებისთვის იბრძოლებენ: **აღმოსავლეთი ჯგუფიდან** — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), „იმედი" (თბილისი), „ქართლი" (გორის რაიონი), „სპარტაკი" (ცხინვალი), „დურუჯი" (ყვარელი); **დასავლეთი ჯგუფიდან** — „სალხინო" (გეგეჭკორი), „მერცხალი" (მახარაძე), „დინამო" (გაგრა), „საპოვნელა" (თერჯოლა), „სქური" (წალენჯიხა), „იმერეთი" (ქუთაისი), „ბახმარო" (ჩოხატაური).



**7 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გათამაშდა ცხენთგამოცდის სეზონის მთავარი პრიზები დოლებში.**

კალინინის სახელობის პრიზი 2-წლიანი წმინდასისხლიანი ცხენებისთვის 1600-მეტრიან დისტანციაზე მოიგო ისიკ-ყულის ცხენსაშენის მხედარმა რომან კოჟემჟაროვმა (ცხენი ბარტი). მანვე დაისაკუთრა საქართველოს სახელობის პრიზი 2400 მეტრზე.

თბილისის დიდი პრიზი — „დერბი" 3-წლიანი წმინდასისხლიანი ცხენებისთვის 2400 მეტრ მანძილზე მოიგო ყულარის ცხენსაშენის მხედარმა ვიქტორ შელეპოვმა (პირანი).

საქართველოს უმაღლესი საბჭოს სახელობის პრიზი (3200 მეტრი) მოიგო სსრ კავშირის დერბისტმა მარატ კოჟემჟაროვმა (აგარი — ისიკ-ყულის ცხენსაშენი).

**ს უ რ ა თ ზ ე:** თბილისის დიდი პრიზის — „დერბის" მფლობელი ვიქტორ შელეპოვი.

ტექსტი და ფოტო თამაზ ქიქავასი.

---

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 11 სექტემბერს.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**გიწვევთ კალათბურთის სკოლა**

**„დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლა აცხადებს 1975-76-77 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა მიღებას.**

**მიღება 10-20 სექტემბერს 10-დან 17 საათამდე. მისამართი: თბილისი, ა. წერეთლის გამზირი, 2.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26.

**ჩვენი ინდექსი:**
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07612